საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 196/ს
12/07/2022

196-21-4-202207121223

ქედის მუნიციპალიტეტში, დაბა ქედაში სს „აჭარის წყლის ალიანსის“ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის 10.6 და 9.6 ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედაში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N 35;
2. სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N35 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „აჭარის წყლის ალიანსს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „აჭარის წყლის ალიანსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო